ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3510182

ნომერი: AR1535786

თარიღი : 29.08.2017

გაცემის თარიღი : 04.09.2017

გაცნობის თარიღი : 05.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა №3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ტყებუჩავა პ/ნ 01024072392
- თბილისი დ.თავხელიძის ქ. N 1 ბ. 26

ორგანიზაცია:

- შპს "სოლარი" კოდი: 400090450

ნომენკლატურა :

- მიშენებული - დაშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : საოფისე ფართი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მისი ოფიციალური ვებ-გვერდის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1535786 განცხადებით მომართა, შპს „სოლარი“-ს დირექტორის იური ტყებუჩავას წარმომადგენელმა დავით ტყებუჩავამ (მინდობილობა, სანოტარო

მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #170594472 და სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი #28152911446417) და მოითხოვა, ქ. თბილისში, სამგორში, ორხევში, ახვლედიანის ქუჩის #3-ში, შპს „სოლარი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #400090450) საკუთრებაში არსებულ #01.19.16.001.005 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის შესაბამისად, შენობა-ნაგებობა #1-ზე, უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, გადაამოწმა სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, შეისწავლა #AR1535786 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები და გაარკვია შემდეგი:

სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტის მშენებლობა არ არის დასრულებული, იგი დაუსრულებელ მდგომარეობაშია და აქედან გამომდინარე, მისი ლეგალიზება ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში ასახულ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, „წესის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ“ ანუ ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, მშენებლობის უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით ნამდვილად 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყება, ნამდვილად 2007 წლის 1 იანვრამდე დასრულება და დადასტურება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ აქვს და ვერ ექნება ადგილი.

„პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „შესაბამისი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ობიექტის ან მისი ნაწილის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მოთხოვნებისა).“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო, ვალდებულია ზუსტად და სრულად დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, რომლის თანახმადაც, „ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება“ და აქედან გამომდინარე, საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, ვერ მიიღებს საქართველოს კანონმდებლობის, სახელდობრ საქართველოს კანონმდებლობაში შემავალი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

დასასრულს, საკითხის სრულყოფილი გაშუქების მიზნით აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესი სხვა ფუნქციის შენობა-ნაგებობაზე დაწყებული მიშენების ან დაშენების მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რაც ნიშნავს იმას, რომ საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრაზე მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, აგრეთვე ვერ განახორციელებს დაწყებული მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრას, რადგან მიშენების მშენებლობა დაწყებულია სხვა

ფუნქციის შენობა-ნაგებობაზე. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660-ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულია უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით დაწყებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსზღვრის შესაძლებლობა და არა სხვა ფუნქციის შენობა-ნაგებობაზე დაწყებული მიშენების ან დაშენების მშენებლობის დასრულებისათვის ვადის განსაზღვრის შესაძლებლობა.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის, 51-ე მუხლის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის და მე-100 მუხლის პირველი ნაწილის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის და „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ე ბრძანებულებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ არ დაკმაყოფილდეს შპს „სოლარი“-ს დირექტორის იური ტყებუჩავას წარმომადგენლის დავით ტყებუჩავას (მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #170594472 და სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი #28152911446417) #AR1535786 განცხადება.

_____ უარი ეთქვას შპს „სოლარი“-ს დირექტორის იური ტყებუჩავას წარმომადგენელს დავით ტყებუჩავას (მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #170594472 და სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი #28152911446417) ქ. თბილისში, სამგორში, ორხევში, ახვლედიანის ქუჩის #3-ში, შპს „სოლარი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #400090450) საკუთრებაში არსებულ #01.19.16.001.005 მიწის ნაკვეთზე განთავსებულ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის შესაბამისად, შენობა-ნაგებობა #1-ზე, უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.